დამტკიცებულია

სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 7 მარტის

N23/3 დადგენილებით

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის
მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმებისა და შეფასების წესი

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (შემდგომში – უნივერსიტეტი) მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმებისა და შეფასების წესი შემუშავებულია უნივერსიტეტში მართვის ეფექტიანობის შეფასებისა და შემდგომი გასაუმჯობესებელი ნაბიჯების დასაგეგმად.

1. მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები:

1.1მიმდინარე მმართველობითი პროცესების და საქმიანობის ანალიზი და შეფასება,

1.2 გამოვლენილი ნაკლოვანებების გასაუმჯობესებელი ძირითადი მიგნებების გამოვლენა,

1.3 მართვის გაუმჯობესებული მექანიზმების უნივერსიტეტის საქმიანობაში დანერგვა.

2. მიმდინარე მმართველობითი პროცესების და საქმიანობის ანალიზი მოიცავს: ბიზნეს–პროცესების, მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების, ფუნქციური დელეგირების შეფასებას როგორც საუნივერსიტეტო, აგრეთვე, საფაკულტეტო დონეზე.

3. გამოვლენილი ნაკლოვანებების გასაუმჯობესებელი ძირითადი მიგნებების გამოვლენა, გულისხმობს ძირითადი მიგნებებისა და რეკომენდაციების შემუშავებას.

4. მართვის გაუმჯობესებული მექანიზმების უნივერსიტეტის საქმიანობაში დანერგვა, გულისხმობს მართვის გაუმჯობესების ძირითადი მიგნებების უნივერსიტეტის საქმიანობაში დანერგვას.

5. მართვის ეფექტიანობის შეფასებისას გამოიყენება:

5.1 ნორმატიული მასალის ანალიზი,

5.2 ბიზნეს– პროცესების ანალიზი,

5.3 უნივერსიტეტში დასაქმებულ პირთა გამოკითხვა, ინტერვიურება,

5.4 სტუდენტების გამოკითხვა, ინტერვიურება,

5.5 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები,

5.6 ფინანსური აუდიტის ჩატარება (ასეთის საჭიროების შემთხვევაში),

5.7ეფექტიანობის აუდიტის ჩატარება (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

6. მართვის ეფექტიანობის შეფასებას ახდენს უნივერსიტეტის რექტორის მიერ შექმნილი ჯგუფი. უნივერსიტეტის თანამშრომლების გარდა, ჯგუფში შესაძლებელია გარეშე პირების მოწვევა.

7. მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმებისა და შეფასების წესი ამოქმედდეს 2018 წლის 10 სექტემბრიდან. მართვის ეფექტიანობის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება 3 წელიწადში ერთხელ.

8. თსსუ-ის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით შესაძლებელია მართვის ეფექტიანობის მონიტორინგი და შეფასება განხორციელდეს ამ წესის მე-7 მუხლით განსაზღვრული დროისაგან განსხვავებულ ვადებში.

9. წინამდებარე წესი ძალაშია დამტკიცებისთანავე.